ქ. თბილისში წყლის ღირებულებისა და ტარიფის განსაზღვრის პრობლემა

ნოდარ წივწივაძე, ლამზირა ლაღიძე, გიორგი ბრეგვაძე, ნარგიზი მოწონელიძე, ნანა პაიჭაძე, გიორგი ივანოვი

ელ-ფოსტა: nodar.tsivtsivadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

წყლის გარეშე შეუძლებელია ცხოვრება და მუშაობა. დედამიწაზე ბევრი ადგილია, სადაც ამ რესურსის ნაკლებობას განიცდიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უამრავი მდინარე და მტკნარი წყლის მრავალი ბუნებრივი თუ ხელოვნური წყალსაცავი არსებობს, ჯერ კიდევ აუცილებელია ამ ძვირადღირებული სითხის გადარჩენა/შენარჩუნება, რისთვისაც შემოღებულია წყლის ტარიფი.

წყლისა და ჩამდინარე კომუნალური წყლების ტარიფები განკუთვნილია წყლის დამუშავების, წყლის შენახვის, მომხმარებლისათვის მიწოდების, ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდის ხარჯების და ა.შ. დასაფარავად. წყლისთვის გადახდილი ფასი განსხვავდება წყლის ტარიფებისაგან. უკანასკნელნი განსხვავდებიან მათი სტრუქტურის, ქვეყნების, ქალაქების დონისა და ზოგჯერ მომხმარებელთა კატეგორიების შესაბამისად. ამასთანავე ფართოდ განსხვავდება ტარიფების რეგულირების მექანიზმებიც. ისინი შეიძლება გაწეულ ხარჯებზე ნაკლები იყოს, ხარჯების ანაზღაურების გარეშე ან წინასწარ გათვლილი ანაზღაურების დონეზე, როგორც ეს მრავალ განვითარებად ქვეყნაში ხდება, რაც ხშირად ტექნიკური მომსახურების დაბალი დონის შენარჩუნებას იწვევს და მოითხოვს მნიშვნელოვან სუბსიდიებს ინვესტირებისა და ოპერირებისათვის. განვითარებულ ქვეყნებში წყალი და, ნაკლებად, ჩამდინარე კომუნალური წყლების ტარიფები, როგორც წესი, ახლოსაა ერთმანეთთან და/ან ანაზღაურების დონეზე, ზოგჯერ კი მოგების საშუალებასაც კი იძლევა.

ტარიფების დასადგენად მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური მოსაზრებები. ტარიფის სტრუქტურა და დონეები ზოგიერთ შემთხვევაში ისე დგინდება, რომ გავლენა არ მოახდინოს ღარიბ მომხმარებელზე. წყლის ფასების ზრდის გადავადება ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური მოსაზრებებით ძირითადად არჩევნების წინ ხდება.

წყლის ტარიფები უნდა იყოს მარტივად გასაგები მომხმარებლებისათვის. ეს ყოველთვის ადვილი არ არის ისეთი უფრო რთული ტიპის ტარიფების შემთხვევაში, როგორიცაა მზარდი ბლოკ-ტარიფები და ტარიფები, რომლებიც განსხვავდებიან სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებ-ლებს შორის. მოხმარების ტარიფები, რომლებიც ქვეყანაში კომუნალური გადასახადებს ითვა-ლისწინებს, უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ ძვირი და გაუმჭვირვალეა, რაც, თავის მხრივ, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიმართ უნდობლობისა და პატიოსნების ეჭვს იწვევს. ჩვენ ვეცადეთ დაგვედგინა სასმელი წყლის ტარიფისა და რეალური ღირებულების ოდენობა, მაგრამ წყალმომარაგების ხარჯების შესახებ ინფორმაციის გაუმჭვირვალობის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა პრობლემის შესახებ რაიმე სწორი დასკვნის გაკეთება.